პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 26 ოქტომბერი 1978 წ. № 252 (7296) ფასი 2 კაპ.

გაუმარჯოს ლენინურ კომპარტიას — კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწესა და მებრძოლ რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლებს, მოწინავე რაზმს!

საქკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებიდან.

გუშინ თბილისში გაიმართა კომკავშირის მე-60 წლისთავი ადმი მიძღვნილი საქართველოს ასკპ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა.

ერთიანი მწყობრით საერთო მიზნისაკენ

ოქტომბრის დღესასწაულის მოახლოებასთან ერთად ძლიერდება სსრ კავშირის ყველა ეროვნების მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების პოლიტიკური და საწარმოო აქტიურობა, მათი შემოქმედებითი შთაგონება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთის მოძმე ხალხები მისი დაბადების დღეს — დიდი ოქტომბრის სამოცდამეერთე წლისთავს — ხვედებიან ერთსულოვან ოჯახად, კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირებულნი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის კეთილნაყოფიერი გავლენით. მსოფლიოში პირველი საერთო-სახალხო სახელმწიფოს ძირითადი კანონი სოციალისტურ ერთა შემდგომი დაახლოებისა და აყვავების, თითოეული მათგანისა და მთლიანად კომუნიზმის მშენებელთა მთელი ინტერნაციონალური არმიის მატერიალური და სულიერი ძლიერების ზრდის ქმედითი ფაქტორი გახდა. ახლა საერთო ძირეული ინტერესებით, მიზნებით, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით შედუღაებული თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ხალხების სახელმწიფოებრივი კავშირი განსაკუთრებით მძლავრი და მტკიცეა, ეს ნათლად ცხადყო ახალი კონსტიტუციის პირველი წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულმა, აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოსათვის ლენინის ორდენის გადაცემისა და რუსეთის შემადგენლობაში სომხეთის შესვლის 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილმა ზეიმობამ.

ცხოვრებამ დამაჯერებლად დაადასტურა ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომ სოციალიზმი აადვილებს და გიგანტურად აჩქარებს ერთა დაახლოებას. ქმნის მშრომელთა შეგნებულ და უფრო მჭიდრო ერთიანობაში გადასვლის პირობებს, უკვდავი ბელადის ანდერძის ერთგული ჩვენი პარტია თანამიმდევრულად ახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, რომელმაც მოიტანა და მოაქს შესანიშნავი ნაყოფი. დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „საბჭოთა კავშირის ხალხთა თანასწორობა, ძმობა, ურღვევი ერთიანობა — ყოველივე ეს ფაქტი გახდა. შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა საბჭოთა ხალხი. ერთა დაახლოების სულ უფრო მზარდი პროცესი ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს სწვდება. ასეთია, ამხანაგებო, ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესანიშნავი შედეგი. ასეთია ჩვენი გამოცდილება, რომლის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა უდავოა“.

ლენინური პრინციპების თანამიმდევრული რეალიზაცია ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელთა ძმური ურთიერთობის — სრული ნდობის, ერთმანეთის მადლიერებისა და პატივისცემის უმნიშვნელოვანესი პირობაა. ეს არის აღშენებლობითი ხაჭიანობის ყველა დარგში მათი მჭიდრო თანამშრომლობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების საფუძველი. სწორედ ყველა ერისა და ეროვნების

ПРАВДА 25 ოქტომბერი

შემოქმედებითი თანამშრომლობა, ერთობლივი შრომა განაპირობებს მეათე ხუთწლედის წარმატებებს, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი რესპუბლიკების თავისებურებებსა და მოთხოვნილებებს, განაზოგადებს მათს ჰარმონიულ განვითარებასა და ქვეყნის საერთო წინსვლას სოციალური პროგრესის ახალი მწვერვალებისაკენ. ჩვენ სრული უფლებით ვამბობთ: ხუთწლედი — ეს არის ხალხთა მეგობრობის პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკის ენაზეა გადაყვანილი. იგი რეალურად უზრუნველყოფს თითოეული მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის სამეურნეო პოტენციალის ზრდას, სსრ კავშირში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ტემპის დაჩქარებას. წარმატებით ასრულებენ რა ხუთწლიანი გეგმის დავალებებს, საბჭოთა ხალხები ენერგიულად აღწევენ ახალ მიჯნებს. ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ შეასრულა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის მიმდინარე წლის ცხრა თვის დავალება. რუსეთის ფედერაციის ინდუსტრიამ, მაგალითად, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 4,6 პროცენტით გაადიდა, ლიტვისამ — 6 პროცენტით, ბელორუსიისა და საქართველოს სს რესპუბლიკებისამ — 7 პროცენტით და მეტად, სომხეთის სს რესპუბლიკისამ — 8,1 პროცენტით. მარტო რუსეთის საწარმოებისაგან ქვეყანამ გეგმის გადაჭარბებით მიიღო 900 ათასი ტონა ნავთობი და გაზის კონდენსატი, 800 ათასი ტონა ქვანახშირი, 5 ათასი ავტომანქანა, ასობით ტრაქტორი, კულტივატორი, სათიბელა, გუთანი.

კომუნისტური მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მოძმე რესპუბლიკების სოფლის მშრომელებს. მილიარდ-მილიარდ ფუთზე მეტი მარცვლეული მისცეს წელს სამშობლოს უკრაინისა და ყაზახეთის მხვნელ-მთესველებმა. სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმებს წარმატებით გაართვეს თავი ბელორუსიის, ორენბურგის, სარატოვის, ვოლგოგრადისა და რუსეთის სხვა მთელი რიგი სხვა ოლქების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის მტკიცედ იბრძვიან უზბეკეთის მოწათმოქმედნი, რომლებმაც გადაწყვიტეს დაამზადონ 5,7 მილიონი ტონა ბამბა, რაც აღემატება შარშანდელი — ყველაზე მოსავლიანი წლის დამზადების მოცულობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ მრავალეროვანი კოლმეურნე გლეხობის მოქმედების საბრძოლო სახელმძღვანელო გახდა.

თითოეული რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდასთან, ქვეყნის მთელი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებასთან და სრულყოფასთან ერთად ფართოვდება ხალხთა მრავალმხრივი კავშირურთიერთობა, მტკიცდება მათი ერთობა. ცნობილია, რომ ჩვენი აღშენებლობითი მუშაობის მასშტაბი სცილდება რესპუბლიკების გეოგრაფიულ საზღვრებს. უდიდესი ჰიდროელექტროსადგურები, ქარხნები და სხვა ინდუსტრიული გიგანტები, სადაც ერთსულოვნად შრომობენ მრავალეროვანი კოლექტივები, მთელი საბჭოთა ხალხის პირმშო, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის განსახიერებაა.

საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია სულ უფრო სრულად ვლინდება სულიერ სფეროში. ეროვნული კულტურების ურთიერთგამდიდრების პროცესის შემდგომ გაღრმავებაში, რომლებიც საბჭოთა ხალხების ერთიან სოციალისტურ კულტურას ქმნიან. მეათე ხუთწლედი აღინიშნა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრი თვალსაჩინო მიღწევით, რამაც შეაჯამა საბჭოთა ინტერნაციონალური კულტურის ფასდაუდებელი საგანძური, ახალი კაჟაშა ნათელი ფერებით რომ აელვარდა.

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოკავშირე რესპუბლიკების წარმატებანი ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცოცხალი განსახიერება, ხალხთა გოლიათური შემოქმედებითი ძალების რეალიზაციაა. ამ ძალებს მრავალგზის ამრავლებს ერთობლივ შრომასა და ბრძოლაში ნაწრთობი მეგობრობა. და ჩვენი პარტია ყოველ ღონეს ხმარობს მისი განმტკიცებისათვის, სახელოვანი ინტერნაციონალისტური ტრადიციების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის.

მტკიცე, მონოლითურია თავისუფალ ერთა და ეროვნებათა ოჯახი, რომლებიც მძლავრ საბჭოთა კავშირს შეადგენენ. ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით ისინი გულდაჯერებით მიდიან წინ შემდგომი ყოველმხრივი განვითარებისა და დაახლოების გზით, ერთიანი მწყობრით საერთო მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ. მილიონთა აზრები და ფიქრები დიდი ძალით არის გამოხატული საოქტომბრო მოწოდებაში:

— **გაუმარჯოს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმურ მეგობრობასა და ურყევ ერთიანობას!**

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ულოცავს საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომის მონაწილეებს, რესპუბლიკის ყველა კომკავშირელს, ქალიშვილსა და ჭაბუკს, კომკავშირის ყველა ვეტერანს სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის სახელოვან მე-60 წლისთავს.

კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპსა და ყველა უბანზე ლენინური კომკავშირი ერთგულად იცავდა და იცავს საბჭოთა ხალხის გმირულ რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, უანგაროდ ემსახურებოდა და ემსახურება პარტიის საქმეს, დიდი ლენინის საქმეს, ოქტომბრის იდეალებს, მოქმედებს როგორც კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწე და მებრძოლი რეზერვი.

სრულიად საკავშირო ალკკ-ს ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი აქტიურად მონაწილეობს კომკავშირის ყველა პატრიოტულ წამოწყებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის ენერგეტიკული მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში.

კომკავშირის საგზურებით, უფროს თაობათა შესანიშნავი ტრადიციისამებრ, საქართველოს ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი შეუერთდა დასავლეთ ციმბირის კოლოსალური ენერგეტიკული რესურსების ათვისების, ტოლიატისა და ნაბერეჟნიე ჩელნის საავტომობილო გიგანტების, ბაიკალ-ამურის მაგისტრალის, რუსეთის სხვა არაშავმწანიადაგიანი ზონის სასოფლო და სამელიორაციო მშენებლობის ობიექტების აგების ენთუზიასტთა მძლავრ არმიას.

საქართველოს კომუნისტები დიდად აფასებენ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის იმ შრომითს ენთუზიაზმს, რომელიც გამოიჩინეს მათ ენგურჰესის საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობაზე, ფაბრიკა-ქარხნების კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადებში. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალგაზრდობამ წარმატებებში, რომლებიც სოფლის მშრომელებმა მოიპოვეს მეჩაიეობაში, მევენახეობაში, მეცხოველეობასა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში. რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის დამკვრელური შრომის მიზანია სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასასულობათა განხორციელება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს რესპუბლიკის კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას განამტკიცონ და ამრავლონ სრულიად საკავშირო ალკკ მე-60 წლისთავის აღსანიშნავი დამკვრელური კომკავშირული ვახტის მოწინავეთა შრომითი მიღწევები, კიდევ უფრო აქტიურად იბრძოლონ 1978 წლის დავალებებისა და მთელი ხუთწლედის ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის, გააფართოონ რესპუბლიკის კომკავშირის შეფობა ეკონომიკის ყველა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვისადმი.

სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა, რომ „თითოეული ახალგაზრდა ლენინელი უნდა იყოს აქტიური პოლიტიკური მებრძოლი, საქმით შეეძლოს განახორციელოს პარტიის პოლიტიკა და შეურიგებლად იბრძოლოს მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ“. კომკავშირულ ორგანიზაციათა უპირველესი საზრუნავი ის არის, რომ დაეხმარონ ახალგაზრდობას საფუძვლიანად დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, შეიმუშაოს საბჭოთა პატრიოტებისა და ინტერნაციონალისტების აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, იყოს შეურიგებელი ბურჟუაზიული იდეოლოგიის, სოციალიზმისათვის უცხო ზნე-ჩვეულებების, მეშჩანური ფსიქოლოგიისა და მორალის გამოვლინებებისადმი.

რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციათა დიდმნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ ხელი შეუწყონ საყოველთაო საშუალო განათლების, პროფესიულ-ტექნიკური სწავლების, ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში პარტიის კურსის განხორციელებას. ყოველნაირად უნდა გაუმჯობესდეს კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობა პიონერებთან და მოსწავლეებთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ საქართველოს კომკავშირელები, ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც ღირსეულად ეგებებიან ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავს, კვლავაც ამრავლებენ თავიანთ წარმატებებს შრომაში, სწავლასა და საზოგადოებრივ მუშაობაში, მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ენერგიას მოახმარენ პარტიის საქმისათვის, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლას.

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწესა და მებრძოლ რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი



სურათებზე: საზეიმო სხდომის დარბაზში; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე რესპუბლიკის კომკავშირს გადასცემს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო წითელ დროშას.

ვლ. ბინზბურგისა („კომუნისტი“) და ბ. კიკვაძის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტო.

კომკავშირი — პარტიის ერთგული თანაშემწე და საბრძოლო რეზერვი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირს 60 წელი შეუსრულდა. მისი ბიოგრაფია — ეს არის იმ მილიონობით საბჭოთა ადამიანის ვაჟკაცობისა და გმირობის მატიანე, რევოლუციური ენთუზიაზმისა და თავდადებული შრომის მატიანე, რომლებმაც კომკავშირში გაიარეს კომუნისტური წრთობის სკოლა.

თითოეული თაობის სახეს გამოხატავს მისი საქმენი, ყოველივე ის, რაც სწამს, რითაც სულდგმულობს და რისთვისაც იბრძვის. საქართველოს კომკავშირელთა ახალთაობის სულიერ განწყობილებაში ჩვენ ვხედავთ იმ ახალგაზრდა ენთუზიასტებთან უდიდესი მსგავსების ნიშნებს, ვინც ოციან წლებში ანთებდა ზაპესის ელექტრულ ვარსკვლავებს, ოცდაათიან წლებში — აშრობდა კოლხეთის ჭაობებს, ორმოციან წლებში — სტუდენტთა აუდიტორიიდან მიდიოდა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, ორმოცდაათიან წლებში — ტიდა ყაზახეთის ყაყრს...

სამოცდაათიანი წლებ-ს კომკავშირელებმა უფროს თაობათა კომკავშირელების ყველა საუკეთესო ნიშან-თვისება შეინარჩუნეს.

საქართველოს ყველა კომკავშირული თაობის, მთელ მეტკვიდრეობითობის შესანიშნავი დღესასწაული გახდა საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა ქალაქ თბილისს კომკავშირული აქტივის მონაწილეობით, რომელიც კომკავშირის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა 25 ოქტომბერს საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში.

სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **ო. თ. კულაშვილი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარაძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სარაძე, ე. ა. შევარდნაძე, თ. ი. მოსაშვილი, ჯ. კ. შარტავა, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ნ. ი. გრიშაკოვი,** სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ა. ტ. უვაროვი.** მათ მხარს უშვენებენ რესპუბლიკის კომკავშირის ხელმძღვანელი მუშაკები, ხუთწლედის ახალგაზრდა გვარი

(დასასრული მე-2 გვ.).

ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ, ვიზრდავლოთ ლენინურად!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს ჩვენ შეეკრიბენით ერთობ საზეიმო მოვლენის გამო: გავა რამდენიმე დღე, და თავის მე-60 წლისთავს აღნიშნავს ჩვენი სახელოვანი, მებრძოლი კომკავშირი — კომუნისტური პარტიის ღვიძლი შვილი, დიდი ოქტომბრის პირმშო, რომელსაც ვლადიმერ ილიას ძე ლენინს გუნია აციასკრონებს.

კომკავშირი ლენინის სახელს 1924 წლიდან ატარებს. ამ წლიდათაწყებული სახელს რომ ატარებენ, კომკავშირელებმა პარტიას შეპფიცეს, რომ იცხოვრებდნენ და იბრძოლებდნენ ლენინურად, განუხრელად შეასრულებდნენ დიდი ბელადის ანდერძს. და ამ ფიცს ასრულებენ კიდეც! ამას მოწმობს კომკავშირის დროშაზე მოკიბული ექვსი ორდენი, რომლებითაც სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობის საბრძოლო და შრომითი საგმირო საქმენი აღინიშნა.

ოქტომბერი საბჭოთა ხალხისათვის ყველაზე ღირსშესანიშნავი, ყველაზე ძვირფასი თვეა.

ოქტომბერში იშვა მსოფლიოს პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფო და ჩვენი პლანეტის ერთ მეექვსედზე გამოცხადდა ყველაზე სამართლიანი და დემოკრატიული ხელისუფლება, ხალხის ხელისუფლება.

ოქტომბერში იქნა მიღებული სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია, რომელმაც მშრომელ ადამიანთა საუკეთესო აზრები და მისწრაფებები შეასისხლხორცა და ჩვენი ხალხის ყველა მონაპოვარი და მიღწევა დამკვიდრა.

კომკავშირიც — პარტიისა და ხალხის იმედი და მომავალი, — ოქტომბერში იშვა, რაც სიმბოლურად გამოხატავს იმას, რომ ახალგაზრდა თაობა მუდამ ეერთგულებს კომუნიზმის იდეალებს, ღირსეულად განაგრძობს მამა-პაპათა საქმეს, დიდი ოქტომბრის საქმეს, დიდი ლენინის საქმეს. (ტაში).

ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავი მარტო ჩვენი ახალგაზრდობის კი არა, მთელი საბჭოთა ხალხის დღესასწაულია. კომკავშირის სკოლა ხომ საბჭოთა ადამიანების თითქმის ყველა თაობამ გაიარა: გაიარეს იმათაც, ვინც საძირკველს უყრიდა სოციალისტურ ეკონომიკას და კულტურას საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, და იმათაც, ვინც თავისი უანგარო, თავდადებული შრომით უმაგალითო აყვავება და ძლიერება მოუტანა ჩვენს სამშობლოს, ვინც ეგზრა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება.

და დღეს, ამ დარბაზს რომ გასცქერი, თითქოს თვალწინ გიდგება ლენინური კომკავშირის მთელი ისტორია.

აქ არიან ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის ვეტერანები, ისინი, ვინც პირველნი იყვნენ, ვისაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე გამოჰყვა სოციალისტური წყობილების დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის თავდადებული ბრძოლის გმირობა და რომანტიკა, ვისაც ბოლომდე შერჩა ჭაბუკური მგზნებარება, ახალგაზრდობის დაუოკებელი შემართება, ნებისმიერი სიძნელეზე გადალახვის მზადყოფნა.

აქ არიან ჩვენი დროის გმირებიც — ქალიშვილები და ჭაბუკები, ისინი, ვისაც კომკავშირელობად ის მიიჩნია, რომ მუდამ იქ იყოს, სადაც ყველაზე მეტად ჭირს, იყოს ყველაზე მოწინავე მიჯნებზე, ბრძოლის წინა ხაზზე.

სწორედ ეს თაობათა მემკვიდრეობითობა, ეს რევოლუციური ესტაფეტა, რომელსაც მამები გადასცემენ შვილებს, იდეათა, მისწრაფებათა და საქმეთა ერთიანობა რომ ადუღობებთ, შეადგენს ჩვენი ცხოვრების წესის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ, განმასხვავებელ ნიშანს, და სწორედ ეს ერთიანობაა ჩვენი მომავალი მიღწევების საწინდარი.

(დასასრული მე-2 გვ.)

ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ, ვიხალისოთ ლენინურად!

(დასასრული)

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალედ და გულთადაც, სულითა და გულით მივესალმო რესპუბლიკის ყველა თაობას, გისურვოთ ყველას უდიდესი ბედნიერება და ახალი წარმატებანი ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ჩვენი ლენინური პარტიის სადიდებლად, კომუნიზმის გასამარჯვებლად შრომაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

60 წლის მანძილზე კომკავშირში ფაიზარდა და გამოიწრთო, პოლიტიკური ბრძოლის სკოლა გაიარა ათობით მილიონმა ადამიანმა. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში ორმილიონ-ნახევარი ახალგაზრდა სწავლობდა კომკავშირში ლენინიზმს, ეზიარა აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, კომუნისტურ მშენებლობაში. თავიანი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებას. სახალხო მეურნეობის, იკონომიკისა და კულტურის განვითარების მართვას. კომკავშირელები ხომ მარტოოდენ საბჭოთა ახალგაზრდობის წინამძღოლნი კი არა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთიანი თანამებრძოლნი არიან და მის საიმედო საბრძოლო რიზერვს წარმოადგენენ. ასე იყო, ასეა და ასე იქნება!

სოციალიზმის მშენებლობასა და ახალგაზრდა თაობის კომუნისტურ აღზრდაში ახალგაზრდათა კავშირის ამოცანები მკაფიოდ განსაზღვრა ლენინმა 1920 წლის კომკავშირის III ყრილობაზე. მას შემდეგ თითქმის 60 წელი გავიდა. მაგრამ სიტყვა. ვლადიმერ ილიჩს ძმ რომ წარმოთქვა ყრილობაზე, დღესაც შეჭრა-ვარსკვლავად გვეკლინება ახალგაზრდა თაობის აზროვნის საქმეში. ჩვენ, კომუნისტები, ნიადაგ ვიწოფებით ამ უკვდავი სიტყვის, ამ ლენინური განაწესის, რათა განვიმტკიცოთ ლენინური მზრუნველობით ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ვიყოთ მისი კეთილი დამრიგებელნი და წინამძღვარნი, ჩვენნაი ვიგულოთო ახალგაზრდა თაობის თიქრები, მიზნები და მისწრაფებანი.

60 მგზნებარი „კომკავშირული წელი — ის არის საბჭოთა ქალაქშიელებისა და ჰაპუკების შრომითის და საბრძოლო საგმირო საქმეთა განწყობილი ისტორია. — კომკავშირის III ყრილობაზე ლენინის ისტორიული სიტყვის მომსწრეებმა რომ გაიმოსცეს თანამეოროვეი ახალგაზრდა თაობას. რომლიც განუხრელად ასრულობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ზაზეგმო სხდომა შესაფალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. კ. შარტავამ.**

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ (ავხ. ე. ა. შევარდნაძის სიტყვა გაზეთის დღევანდელ ნომერში ქვეყნდება).

ამხ. ე. ა. შევარდნაძეს სიტყვა გაზეთის დღევანდელ ნომერში ქვეყნდება).

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ შეკრებილთა ტაშის გრიალში გადასცა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი ადრესი და სამახსოვრო წითელი დროშა.

სხდომაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. კ. შარტავამ.**

— საქართველოს კომკავშირს, — თქვა მან, — გადაეცა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო წითელი დროშა, პარტიული მზრუნველობით, პარტიული უურადღებით გამთბარი დროშა, რომელიც საქართველოს კომკავშირელთა ყველა თაობის ინდივიდს განსასიხარებს. დროშა, რომელიც ახალგაზრდობას ანიჭებს სიხარულს, შთაბერავს ახალ შემოქმედებითს ძალებს, ღირსეულად აღნიშნავს ყოველივე იმ საუკეთესოს, რაც გაუკეთებია, რასაც აკეთებს რესპუბლიკის ახალგაზრდობა, კომკავშირი. ამასთანავე, ეს სამახსოვრო დროშაა: იგი, უწინარეს ყოვლისა, მოგვაგონებს, რომ თვალისჩინეიან უნდა ვეფერხილდებოდეთ მონაპოვარს, რომ მიღწეული მხოლოდ წინადადგმული ნაბიჯია, და არა საბოლოო შედეგი, არა ზღვარი; რომ ჩვენს მთავარ კრიტერიუმად ერაცხეთ პასუხისმგებლობას, პასუხისმგებლობას და კიდევ ერთხელ პასუხისმგებლობას გულშინდილი, დღევანდელი და ხვალინდელი დღის წინაშე.

ეს პასუხისმგებლობა, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, განსაკუთრებით მასშტაბურია დღეს, როცა ჩვენი რესპუბლიკა დიალექტიკური წინსვლის გზას ადგას, როცა მიღებულია და ხორციელდება მტკიცე გადაწყვეტილება: შევინარჩუნოთ მოპოვებული წარმატებანი და მივაღწიოთ ახალ მიჯნებს.

საქართველოს ახალგაზრდა თაობამ, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ახალგაზრდობამ, კარგად იცის: ყოველივე, რაც მოვიპოვეთ, რაც ბრძოლის ქარცეცხლიან წლებში გამოვატარეთ და რამაც დრო-ეამის სიავეს გაუძლო, ყოველივე, რასაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია თავის განვითარებაში, კომუნისტთა პარტიის მონაპოვარია. იქ, სადაც პარტიაა, მუდამ გამარჯვებაა! იქ, სადაც პარტიაა, მომდინარეობს მომავლისათვის ბრძოლა, ვინაიდან ლენინის პარტია — ეს არის მომავლის პარტია, ნოვატორთა პარტია, რომელიც პირველმეკავლეობა გზით მიუძღვის საბჭოთა ხალხს. იქ, სადაც პარტიაა, მუდამ არის კომკავშირიც — პარტიის მეგალითისაებრ, მისი მოწოდებისაებრ, — კომუნისტური მშენებლობის ყველაზე პასუხსაგებ უნებებზე.

და დღეს, კომკავშირის ამ დიდ დღესასწაულზე, პარტიის მზრუნველობითა და ყურადღებით გამთბარ დღესასწაულზე, ჩვენ მადლიერებისა და სიყვარულის სიტყვებით მივმართავთ დიდი ლენინის პარტიას, მის ერთერთ მოწინავე და მებრძოლ რაზმს — საქართველოს კომუნისტურ პარტიას, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავი, თქვა შემდეგ ამხ. შარტავამ, ის მწვერვალი, საიდანაც, ნათლად მოჩანს გზები. საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა თაობამ, მისმა ლენინურმა კომკავშირმა რომ გამოიარა.

კომკავშირელთა წინა თაობების მიერ დაპყრობილი მწვერვალებს დღეს ემატება ახალი მწვერვალები, რომლებიც 70-იანი წლების ახალგაზრდა მებრძოლებმა დალაშქრეს.

ეს არის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში კომკავშირელთა მონაწილეობის მწვერვალები, ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი წვლილი ჩაისა და ყურძნის რეკორდულ მოსავალში, ქართული ფოლადის გოლიათურ ნადნობში, ქართული ავტომანქანების წარმოებაში, ეს არის სტუდენტთა და მოსწავლეთა ეხელი შრომითი ზაფხული, ახალგაზრდა მეცნიერთა და, კულტურის მუშაკთა მაძიებელი შეხედულებანი, ეს ... ...

ქმრების ქალაქ

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ტრიუმფით შემოდგა ფეხი წლევანდელმა ბარაკიანმა შემოდგომამ. შემოდგომა ხომ საზოგადოა იმ წლიური გარჯისა. რაც ქვეყნის მინდორ-ველზე მზრომელმა გლეხობამ გასწია. ჰოდა, ამ ბარომეტრმა წელს ქართველი მევენახეების დიდი გამარჯვებაც ვეგულისხმეთ. ამ ბარომეტრმა ეს ალბერდა ფაქტი: ღირსეულად დაეშვენებინათ ხეხარი ჩვენი სახელოვანი მეჩაიეებისათვის.

დედაქალაქი აიესო კახეთიდან და ქართლიდან შემოტანილი ყურძნითა და მაჭრით. გამარჯვების ტრანსპარანტებით შემოდიან ბარაჯრით დატვირთული ავტომანქანები და ქართველი და ახალი გლეხები გულუხვად უმასპინძლდებიან თბილისელებს. ერთმა დიასახლისმა მაჭრით მოვაკრე გურჯაანელს გადაუჭერა ჩაჩი. შაქრით ნაკეთები ხელარა ირა, შაქარი და სიტკბო ნუ გამოგვლიოსო. — უკითხა გურჯაანელმა, იმოდენა მოსავალი მიგიღეთ ჩვენ ბაშაჭრული რაკეფილისა, სახელმწიფო მარნებმაც ვეღარ ვატევეთო. შესვი, გაამოს!

ყურძნის ნამდვილი დღესასწაული სუფეს დღეს თბილისშიც. დედაქალაქის მშრომელების გუნებაგანწყობილება ამაღლებულია და რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად ქართველი მეწერლებიც ამაყად დადგან წლევანდელი გამარჯვების არნახულ მიჯნასთან.

ქართველი ალეა მარად მზად არის სტუმრის მისალებად, მაგრამ, როცა მიწიდ მაფლით წელგამარდოული. ბაბინ უფრო ხალისიანად ეგებება ხალ.

ამიტომაც ახლა უფრო ლაღად გამალეს მალაეები ქართველმა მწერლებმა მოაძე რესპუბლიკებიდან ჩამოსული მეგობარი მწერლების შესახვედრად.

ამ ბოლო წლებში გამარჯვების ჰიმნი ხშირად გაისმის ჩვენს რესპუბლიკაში. წელს ამ ჰიმნს მეევნახეთა ძალაური ჰიაგიც მიეძატა და ეს ახლრებთ ქართველ მწერლებს. მზრომელთა გამარჯვებაში მათი ღვაწლიც ხომ საკმაოდ დიდია. ახლა სამაყაოთ გაუძღვებიან ძვირფას სტუმრებს, საპაკოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეებს და ამჯერად ქართველი მეევნახეების მამაცურ საქმიანობასაც ეჩვენებენ.

გაისკენება ახალი ძაფები მეგობრობისა. კი ამ ქართველ მწერლებს მეგობრობის შორეული ტოადღეცი რუს, ოკრაინელ და სხვა მოძმე რესპუბლიკების მწერლებთან. ეს დღეს საქეეყნოდ არის ცნობილი. მაგრამ ამ ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში რეგულარულად რომ ტარდება საბჭოთა ლიტერატურის დღეები, ეს კიდევ უფრო ფართო ასპარეზს ქმნის ამგვარი ურთიერთობისათვის. სტუმრები უფრო ახლოს ეცნობიან ჩვენს ქეეყანას, ჩვენს ტაიეიერებსა და სიხარულს, იბადება ახალი თარგმანები, მყარდება ახალი პირადი ურთიერთობანიც.

ამას წინათ ვაგრაში გახლდით. მწერალთა შეკრებებით სახლში. ჩინებულმა რუსმა პოეტმა, სოციალისტური შრომის გმირმა მიხეილ დუდინმა მაბინიე ქართველი მეგობრები მოიკითხა, უყვარს საქართველო და ყველაფერი ინტერესებს ჩვენი ოოოველდღიური ცხოვრებისა. იგი მონაწილეა ჩვენში ნაწილ წლების საბჭოთა ლიტერატურის დღეებისა და დიდი აღფრთოვანებით მოიგონა ბეგრი რამ.

ზაბოლოცკიმ ცხოვრებისა და შემოქმედების რთული გზა განელო, დიდი მისი ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე. მან თავისი სიცოცხლის უკანასკნელი 15 წელი ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების რუსულად თარგმნის საქმეს შეალია და შემოქმედებითი მუშაობის ამ დარგში მრავალი განუმეორებელი პოეტური თარგმანი შექმნა.

ნიკოლოზ ზაბოლოცკის სახელი განუყრელად დაუკავშირდა ქართველი ერის შემოქმედებითი დიდებისა და მშვენება შოთა რუსთაველის სახელს. რუსთაველის გენიამ, რომელმაც გაარღვია საეკუნეთა წყვდიადი, სამუდამოდ მოხიბლა რუსი პოეტი. თუ რამდენად იყო ზაბოლოცკი რუსთაველით გატაცებული, ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ პოეტმა ორჯერ თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“.

ზაბოლოცკიმ თავისი თარგმანებით საშეალიშვილო საქმე გააკეთა ღა კიდევ უფრო განამტკიცა მეგობრობა ქართველ და რუს ხალხს შორის. ერთერთ მეგობრულ საუბარში მან სიმონ ჩიქოვანს უთხრა: „ჩემი ოცნებაა, გავაცნო მილიონი ხალხი ქართულ პოეზიას“.

როგორც ცნობილია, ზაბოლოცკიმ თარგმნა გრ. ორბელიანის ლექსების წიგნი მთლიანად, ი. ჭავჭავაძის პოემები — „განდეგილი“, „აჩრდილი“, „დედა და შვილი“, „დიმიტრი თავდადებული“ და რამდენიმე ლირიკული ლექსი, ვაჟა-ფშაველას პოემები — „გოგოთური და აფშინა“, „მონადირე“, „ალუდა ქეთელაური“, „კოპალა“, „დაკრძალეა ვეფხი“, „ეთერიანი“, „ბახტრიონი“, „ტუმარ-მასპინძელი“, „ხის ბეჭი“, „ესასლის ძიება“, „გველის მჭამელი“, „ძაღლი ხმიჟაური“, აგრეთვე პოეტის ოცამდე ლირიკული ლექსი, ფ. გურამიშვილის „დავითიანი“ მთლიანად, ა. წერეთლის რამდენიმე ლირიკული მარგალიტი და ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები.

ქართველი პოეტებიდან ზაბოლოცკის ახლო ურთიერთობა ჰქონდა სიმონ ჩიქოვანთან. მათი პოეტური ნატურის ხეიადასხვაობა ხელს არ უშლიდა ყოფილიყვნენ ახლო მეგობრები, გაუზიარებინათ ერთმანეთისათვის აზრები, წლების მანძილზე ერთად განეხილათ ქართული პოეზიის თარგმნის საკითხები. სიმონ ჩიქოვანი ზაბოლოცკის შემოქმედების პირველი მეკაშნიკე იყო.

„მისი შეხედულებები პოეზიაზე, ხელოვნებაზე, — იგონებს სიმონ ჩიქოვანი, — გამორჩეოდა მეცნიერული სიზუსტით, მის სულიერ სამყაროში ჩნდებოდნენ საოცარი სახეები, მას პოეზია გამჯდარი ჰქონდა სისხლსა და ძვალში“.

ზაბოლოცკიმ თავისი მეგობრების მეოხებით გაიგო და შეიყვარა ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებები, ადათ-წესები, ქართული ბუნების სიდიადე და ქართული სტუმართმოყვარეობა. პოეტი გულითადად ხედებოდა ქართველ სტუმრებს და თვითონაც მრავალგზის ჩამოდიოდა საქართველოში.

1936 წლის შემოგდომაზე ზაბოლოცკიმ ინახულა ქალაქი გორი და გამოაქვეყნა ლექსი „გორის სიმფონია“, რომელშიც გამოხატა თავისი ღრმა სიყვარული ქართველი ხალხისადმი. პოეტმა მაღალფარდოვანი სტრიქონებით გადმოგვცა გორის სიმაგრეების მომაჯადოებელი სურათები, ნათელი საღებავებით დაგვიხატა გორის შემოგდომა. თავისებურად აღბეჭდა სამხრეთის პეიზაჟები, ქართული ბუნების სიდიადე, მშრომელი ხალხის კეთილშობილება.

ლექსში „თბილისური ღამეები“ ზაბოლოცკიმ უმღერა ქართველი ქალის კდემამოსილებას და სიუმანდეს, მისი მშვიენი ხასიათი ალიარა ქალის სილამაზის გამოხატულებად.

ზაბოლოცკიმ შემოიარა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე — საგურამო, ქეიშხეთი, კახეთი, ქართლი, ჩარგალი. ლექსებში „ვრემი“, „ყაზბეგი“, „საგურამო“, „ხრამჰეკი“ გადმოცემულია საქართველოს სტეპადასხვა კუთხის მომაჯადოებელი პეიზაჟები და გამომჟღავნებულია დიდი მიდრეკილება პოეტური მონუმენტურობისადმი. მონუმენტურობისადმი ასეთ სწრაფვას ადრეც ეხედავთ ზაბოლოცკის პოეზიაში. მისი ადრინდელი ლექსები — „ჩრდილოეთი“, „ლოდენიკოვი“, „ზამთრის დასაწყისი“ თუ „სედოვი“ ერთგვარი შინაგანი სულიერი პარმონიულობით ხასიათდებოდა. ქართული პოეზიის კლასიკური შედევრების შესწავლამ და ქართულ ბუნებასთან სიახლოვემ პოეტის ეს თვისებები კიდევ უფრო გააძლიერა და განამტკიცა.

ზაბოლოცკი შესანიშნავად გრძნობდა ქართული ლექსის მუსიკალურ ყოვლადობას. მან ზეპირად იცოდა ქართულ ენაზე სტროფები „ვეფხისტყაოსნიდან“, აგრეთვე გურამიშვილის „დავითიანიდან“. „დიდება შენდა, დიდება, სახით მზეთა მზეო“ — უყვარდა გურამიშვილის ამ სტრიქონების ხშირად გაეგორება.

ნიკოლოზ ზაბოლოცკი ახლა 75 წლისა იქნებოდა. მან თავისი ცხოვრებით, მოღვაწეობითა და შესანიშნავი შემოქმედებით ღრმა კვალი დატოვა რუსი და ქართველი ხალხების კულტურის ისტორიაში. ნიკოლოზ ზაბოლოცკი ქართულ-რუსული მრავალსაეკუნოვანი კულტურული ურთიერთობის მტკიცე ბურჯია. მადლიერი ქართველი ხალხი ყოველთვის დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მოიხსენიებს მის ღვაწლს.

ციხანა კვინტრაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲣᲛᲦᲚᲔᲠᲝᲓᲐ

რუსული საბჭოთა ლიტერატურის გამორჩეულ წარმომადგენელთა შორის, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით საქართველოსთან არიან დაკავშირებული, ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს რუს პოეტსა და მთარგმნელს ნიკოლოზ ზაბოლოცკის.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲪᲘᲮᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲪᲘᲮᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ

გარდაიცვალა თავლასჩინო პარტიული და სამეურნეო მუშაკი, ხალვაშორი მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სოციალისტური შრომის გმირი, 1932 წლიდან სკკპ წევრი მიხეილ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ ᲪᲘᲮᲘᲡᲗᲐᲕᲘ.

მიხეილ ციხისთავმა იცოცხლა 70 წელიწადი და აქედან 50 წელი ხალხისა და ქვეყნის უანგარო სამსახურს მოახმარა. იგი ჭაბუკობიდანვე ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და იმის საუკეთესო მაგალითს აძლევდა ადამიანებს, თუ როგორი მგზნებარებითა და ერთგულებით უნდა ბრძოლა კომუნისტური იდეალების დამკვიდრებისა და პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ციხისთავი დაიბადა 1908 წელს თელავის რაიონის სოფელ ფშაველში. შრომითი საქმიანობა დაიწყო ცხრამეტი წლისამ კალოს მუშად.

იგი წარმატებით უთავსებდა ერთმანეთს შრომასა და სწავლას. ომის შემდგომ წლებში დაამთავრა პარტიული სკოლა, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი.

1926-1935 წლებში მუშაობდა ყვარლისა და გურჯაანის რაიონებში სოფლის კოოპერატივის, რაიკოოპკავშირის, სარაიონოშეერისო საქვაბრობის თავმჯდომარედ და დირექტორად. 1937 წლიდან 1939 წლამდე იყო ვარდანახის მევენახეობა-ეეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ხოლო 1939 წლიდან 1943 წლამდე თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

1943 წლიდან მიხეილ ციხისთავს ირჩევენ საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1950 წელს გადაჰყავთ საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივნად.

მ. ციხისთავი 1953-1954 წლებში საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრის პირველ მოადგილეა. 1954-1956 წლებში — სსრ კავშირის დამზადების რწმუნებულია საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, 1956-1957 წლებში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პუროპროდუქტების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე. 1957-1958 წლებში მუშაობს ხორცის მრეწველობის ტრესტის მმართველად, ხოლო 1958-1961 წლებში — საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ.

მ. ციხისთავმა დიდი ღვაწლი დასდო ხოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს. 1968 წლიდან 1972 წლამდე მუშაობდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსად, პენსიაზე გასვლამდე 1972-1975 წლებში კი — საქართველოს მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

მ. ციხისთავი არაერთგზის იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, საქართველოს კომპარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის წევრად, საქართველოს სსრ მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს მიხეილ ციხისთავის საზოგადოებრივი შრომა და ნოდაგეწეობა, იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, სამატო ნიშნის ორდენებითა და მრავალი მედლით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1950 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

